ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 კაპ. კვირა, 1917 წ. მაისის 21 (3)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი — ჩვეულებრივი სტრიქონი წინ ზედა გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15╳2 ღირს 6 მ.; 20╳2 ღირს 8მ., 25╳2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 108 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 108

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

მაისის 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

### ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ჱ. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

## თბილისის 2-რე უბნის სასურსათო კომიტეტის მოწოდება.

მოქალაქენო! მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი უკვე შესდგა. დარწმუნებული ღრმად, რომ თქვენ გრწამთ დროებითი მთავრობის პრინციპი—„ხალხმა თვითონვე უნდა აკეთოს თავის საქმე“,—მოგიწოდებთ დაგვეხმაროთ ახალ სასურსათო ორგანიზაციის შექმნა-განმტკიცებაში, აღმოგვიჩინოთ ყოველ მხრივ დახმარება პირველ მოთხოვნის საგნების, როგორც მომხმარებელთა შორის წილის გამორკვევაში, ისე ამ საგნების მათ შორის სამართლიანათ განაწილებაში.

მოქალაქენო! თქვენი შეუმჩნეველი არაფერი დარჩება, ამიტომ ყოველივე ბოროტ-მოქმედებაზე, სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე, როგორც არის ნიხრის დარღვევა, სურსათის გადამალვა, სპეკულიაცია, უსუფთაობა და სხვა თქვენ მიერ შეკრებილი ამაზე გარკვეული ცნობები მყისვე უნდა იქმნეს საუბნო სასურსათო კომიტეტში გადაცემული.

ყოველივე უწესოება სასურსათო ნიადაგზე, შეაჩერებს დაწყებულ დიდებულ საქმეს რუსეთის რევოლიუციის და თავისუფლების დამყარებას.

თქვენ კი მოქალაქენო—მოვაჭრენო, თქვენი ვალია ამ ძნელ დროს დაეხმაროთ მცხოვრებლებს პირველ მოთხოვნილების საგნების გაიაფებით და ყოველივე სავალდებულო დადგენილების და ნიხრის წმინდათ დაცვით.

მოქალაქენო! ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი შრომით დახმარება აღმოუჩინოთ სასურსათო კომიტეტს, მობრძანდით ჩასაწერათ კომიტეტის კანტორაში, ჭავჭავაძის ქ. № 9, დილის 10—1 საათამდე.

კომიტეტის თავმჯდომარე შ. ბიჭაშვილი.

1—651—1

თავმჯდ. ამხ. ტიშკოვი კრავეც.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა სამეურნეო ბანკი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა

## მორიგი კრება

მოხდება ქალ. ქუთაისში, ბანკის შენობაში, 1917 წ. მაისის 28, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების მე-89 მუხლის თანახმად კრება კანონიერი იქნება, რწმუნებულთა რიცხვის მიუხედავად.

კრების განსახილველი კითხვები:

1) ბანკის ოპერაციების ანგარიში 1916 წ. განმავლობაში. მოხსენებას წაიკითხავს ზედამხედველი კომიტეტისა და დამფასებელ კომისიის წევრები.
2) ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეთა შეერთებული მოხსენება საზოგადო თანხის განაწილების შესახებ.
3) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4) მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5) ბანკის გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შესაცვლელად.
6) შეერთებული მოხსენება ბანკის ოპერაციების გასაფართოვებლად.
7) ბანკის 1917 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8) სათანამდებო პირთა ამორჩევა იმ ადგილებზე, რომელნიც უკვე განთავისუფლებულია: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთიც გამგეობის კანდიდატისა.

3—695—3

## ქართული თეატრი

(ახალი კლუბის საზამთრო თეატრი)

კვირას, მაისის 21, ვალ. შალიკაშვილი გამართავს მხიარულ სალამოს.

### წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად თბილისში ივ. გომართლის ახალი კომედია.

**იასონის ღვინები**

2 მოქ.

II

**დარისპანის გასაჭირი**

1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობს თბილისის დასი. ✣ ადგილების ფასი 2 მ. 90 კ.-დან, 50 კ.-დე.

თეატრი კლუბისაგან განცალკევებულია.

დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

2—697—2

---

ღრმად დამწუხრებულნი თამარა სტეფანეს ასული და მეუღლე მისი გიორგი იოსების ძე ანდრონიკაშვილი ამით აცხადებენ, რომ ორშაბათს, 22 მაისს, დილის $11^1/_2$ საათზე, ქ. თბილისში ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**სტეფანე (ღვთისო) სიმონის ძე ელიაძის**

სულის მოსახსენებლად.

1—653—1

## თბილისის მოქალაქენო!

შევუდექი რა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით ქალაქის მილიციის გამგის მოვალეობის შესრულებას, ჩემ ვალად ვრაცხავ შემდეგი მოწოდებით მოგმართოთ:

### მოქალაქენო!

ვერც ერთი მთავრობა ხალხისვე დაუხმარებლად ხალხს ნაყოფიერად ვერ ემსახურება. ამიტომ ვითხოვ სათანადო დახმარებას ჩემ მოქმედებაში რევოლიუციის დასამკვიდრებლად, წესრიგის და სიწყნარის დასაცავად ქალაქში.

არავითარ მთავრობას არ შეუძლია ემსახუროს ხალხს, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ ყველა მისი კანონიერი დადგენილებანი სისრულეში მოყვანილი იქნება შიშით კი არა, არამედ სინიდისით, და ამიტომ გთხოვთ თქვენ არამც თუ დაემორჩილოთ ჩემ კანონიერ დადგენილებებს, არამედ სათანადო დახმარებაც აღმოუჩინოთ ჩემს ხელქვეითებს თავის მოვალეობის ასრულებაში.

### მოქალაქენო!

დავისახეთ მიზნად ხალხის მსახურება, მე ყოველ ღონეს და ენერგიას, მთელ ჩემ ცოდნას, მთელ ჩემ გამოცდილებას და ჩემ განკარგულებაში მყოფ ყველა საშუალებას ვიხმარ, რომ არავის არ ეპატიოს უკანონოდ წესრიგის დარღვევა ქალაქში. არავინ არ უნდა დაისაჯოს უდანაშაულოდ, მაგრამ არც არავინ უნდა დარჩეს დაუსჯელი ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის გამო. დეე ეს ახსოვდეს ყოველ ჩვენგანს, ვინც სარგებლობს დღევანდელი გარდამავალი მომენტით ქვეყნის ცხოვრებაში, კერძო საზიზღარი გამდიდრების გულისთვის, თუ თავის გარყვნილ სურვილების დასაკმაყოფილებლად...

ასეთნაირ კატეგორიის ხალხს მე სასტიკ ბრძოლას გამოვუცხადებ ჩემ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით.

უფრო ენერგიულს და სასტიკ ბრძოლას გამოვუცხადებ მათ, ვინც ფარულად ოცნებობენ ძველი მთავრობის აღდგენას და ვინც თავის ოცნების განსამტკიცებლად ამა თუ იმ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს ჩაიდენს.

### მოქალაქენო!

მე ჩაბარებული მაქვს ქალაქის დაცვა და ვიმედოვნებ, რომ თქვენი დახმარებით მივაღწევ მიზანს.

მილიციის უფროსის ნაცვლად ნაფიცი ვექილი ქაჩუხაშვილი.

1—700—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

თბილისის მე-X და მე-XII უბნის

## საორგანიზაციო კომისია

მართავს კრებას მეათე და მეთორმეტე უბანში მცხოვრებ პარტიის თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა, „ახალ საკრებულოს“ (ხარფუხის საზაფხულო) კლუბში, მიხეილის ქუჩაზე № 129,

**მაისის 21, კვირას, დილის 11 საათზე.**

კრებაზე დასწრება შეუძლია პარტიის თანამგრძნობთ, განურჩევლად სქესისა. კრებას მოხსენდება პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები.

1—694—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხაშურის სარაიონო კომიტეტი.

კვირას, 21 მაისს, დილის 12 საათზე, დ. ხაშურში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო ყრილობა. ყრილობაზე განხილული იქნება საპროგრამო და სატაქტიკო საკითხები.

დაესწრებიან აგრეთვე პარტიის მთავარ კომიტეტის წარმომადგენლები: სპირიდონ კედია და ლელი ჯაფარიძე.

საქ. ეროვნ.-დემ. პარტიის ხაშურის სარაიონო კომიტეტი.

3—696—3

მოკლე ხანში თბილისში გამოვა

## სამხატვრო-სალიტერატურო კრებული



კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

მისამართი: თბილისი, რედაქცია „საქართველო“—ე. გიგეჭკორს, რედაქტორები: სანდრო შანშიაშვილი და გ. ლეონიძე.

4—688—4

გამომცემელი ე. ი. გიგეჭკორი.

---

## განცხადება

### კომისარიატი თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ არც ერთს დაწესებულებას თუ კერძო პირებს ნება არა აქვთ აღმასრულებელ კომიტეტის კომისარიატის ნება-დაურთველად მოაწყონ ქუჩებში ყულაბებით ფულის მოგროვება, ვის სასარგებლოდაც უნდა იყოს იგი. აგრეთვე, ვინც ამის შემდეგ კომისარიატის ნებადართვით მოაგროვებს ყულაბებით ფულს, მან უსათუოდ სრული შემოსავალის ანგარიში უნდა წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის კომისარიატს თბილისში.

2—699—1

### თბილისი, მაისის 21.

## დღევანდელი რუსეთი

რუსეთის პასუხისმგებელი დემოკრატია თავის ნდობით დღითიდღე ამაგრებს სარევოლიუციო მთავრობას.

ტელეგრაფი ყოველ დღე გვატყობინებს, რომ დემოკრატიის სხვა და სხვა ორგანოებს ერთი მეორეზედ გამოაქვთ სრული ნდობის რეზოლიუციები.

ეს მის შემდეგ, რაც ექვსი სოციალისტი შევიდა კაბინეტში და თავისი იქ ყოფნა შეუძლებლად სცვნეს, თუ ამ ნდობას მოკლებულნი იქნებოდნენ.

ამ დემოკრატიის ბაირაღტარი ირაკლი წერეთელი, რომელიც დღეს სრულ უფლებოვანად მინისტრობს, ამბობს, რომ რუსეთში უნდა შეიქმნეს ერთი მთლიანი და მტკიცე მთავრობა თავისუფალ მოქმედების სრული უფლებით აღჭურვილი. ის აღნიშნავს ამ ერთმთავრობიანობის საჭიროებას და მით, რასაკვირველია, აღიარებს, რომ აქამდე რუსეთში მთავრობის ძალა-უფლება დაყოფილი იყო.

ამ დაყოფის შედეგია ის, რომ დღეს რუსეთის გულში ანარქიული ნაპერწკლები ელავენ და დიდ კოცონის ანთებას ამზადებენ. მთავრობის ვინაობის არ ცოდნის შედეგია ის, რომ ჯარის სხეულის რყევა დაიწყო და რუსეთის საომო ძალი ისე დასუსტდა, რომ სამშობლოცა და რევოლიუციაც განსაცდელში გამოცხადდა.

ერთი მთლიანი ძალა-უფლებით აღჭურვილ ორგანოს უქონლობამ ნიადაგი მოუმზადა ისეთ მდგომარეობას, რომლის მიხედვით გუჩკოვმა შესძლო ეთქვა, რომ „რუსეთს სასწაული იხსნისო“.

იქნებ მისი დიაგნოზი ვერ იყოს სავსებით სწორი და შესაძლებელია საკმარისი არც მხოლოდ ვიქტორ ჩერნოვის წამალი იყოს, რომელიც ამ სასწაულად სოციალისტურ დემოკრატიას სახავს, მაგრამ მომენტის საგრძნობელ გართულების სწორმა შეფასებამ ამ დემოკრატიის გონიერი ნაწილი ძველ პოზიციებიდან დასძრა და თავის კლასობრივ ვიწროობას რაოდენათმე ზევითააცილა. დემოკრატიამ, რომ მთავრობის პასუხისმგებლობა გაიწილა, ყველამ ერთად ერთ ხსნათ მიიჩნია რევოლიუციის გასამარჯვებლად.

წერეთელი და ლვოვი, რომ ვიწრო საპარტიო თვალთა-ხაზს გასცილდნენ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეზიარენ, მათი ხმა ერთმანეთს ემზგავსა და სოციალისტმა კერენსკიმ უფრო მტკიცე უფლება მოითხოვა, ვიდრე ბურჟუა გუჩკოვი სცნობდა შესაძლებლად.

და ის მართალია თავის მოთხოვნაში, რადგან რუსეთის საშიში ბედი უკარნახებს მას.

რუსეთის გულში უკვე შეიჭრა ანარქიის ხმა და თუ მისდამი მიდრეკილებას წინ მტკიცე ძალა არ აღუდგა, რევოლუციაში დაწყებული სახელმწიფოებრივი შენება, რომლის კედლები ჯერ საფუძვლიანად შეკრული არ არის, შეიძლება ადვილად დაინგრეს.

ამ შენების გასამაგრებლად დროებითი მთავრობა ყველა პარტიამ და მთელმა რუსეთმა უნდა განამტკიცოს.

დღევანდელი რუსეთი ისეთ მდგომარეობის წინ სდგას, როდესაც კერძო პარტიულ პროგრამათა განხორციელება რევოლიუციას დამარცხებისაკენ წაიყვანს; სამინისტროს გამოცვლა უკანასკნელი წამლის შინჯვას ნიშნავს და თუ მან თავის გავლენა არიქონია მომავლის ბედი ძნელი საფიქრებელია. რუსეთის დემოკრატიაც, სჩანს, ჯეროვანათ აფასებს დღევანდელ მდგომარეობას, რომ სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას.

მაგრამ მარტო ნდობა, რაც ასე საჭირო იყო რევოლუციის პირველ დროისათვის, დღეს საკმარისი არ არის. დროებითი მთავრობა უნდა იყოს მოქმედების ძალითაც აღჭურვილი, რომ ხალხი დაირაზმოს მის განსამტკიცებლად და დემოკრატიის ორგანოებმა თავს იდვან მთავრობის მიერ მოწოდებული საქმის სისრულეში მოყვანა და მით მისი ნების აღმსრულებელნი გახდნენ.

თუ მათი მთავრობისადმი სრული დაქვემდებარეობა არ მოხდა, დღევანდელი სამინისტრო ვერ შესძლებს რუსეთს ანარქიის შავი აჩრდილი მოხსნას, დღითი დღე ხორცს რომ ისხამს და სახელმწიფოს წალეკვას რომ ლამობს.

## რუსული ნაჯახით...

ამ დღეებში კავკასიის ჯარის საფრონტო ყრილობაზე დამსწრე 1,600 რუს სალდათმა გადასწყვიტა: ამიერიდან მოისპოს მიწის კერძო საკუთრება და დამყარდეს სოციალიზაცია, ე. ი. მიწა ყველა კერძო მფლობელთ უნდა ჩამოერთვას, გასაზოგადოვდეს და ამის შემდეგ მიეცეს იჯარით, მარტო იმას, ვინც მიწას ამუშავებს, და იმდენს, რამდენსაც იგი თავის ძალით დაამუშავებას შესძლებს.

ამ გარდაწყვეტილებას აღტაცებით მიეგება ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და ასეთივე თავის საკონფერენციო დადგენილებით მიულოცა საქართველოს „ახალი ხანა“...

ჩვენ არ გვაკვირვებს რუს სალდათების კრებულის მიერ ერთის დაკვრით კერძო საკუთრების მოსპობის რეზოლიუციის მიღება. ამის ბევრი აუახსნელი მიზეზი რუს კაცის ბუნებაში იმალება, რომლის გამორკვევა ჩვენი მიზანი არ არის. თანაც შემთხვევით შეყრილ კერძო კრებულის დადგენილებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს?

მაგრამ მეტად გასაკვირველია და სახიფათო, როცა ასევე „შემთხვევით“ იქცევა პოლიტიკური პარტია.

წარმოიდგინეთ სიმძიმე ამ დანაშაულისა, როდესაც „ერთად ერთი მძლეთა მძლე“ ქართველ სოც.-ფედერალისტთა პარტია, მიუხედავად დროისი, გარემოებისა და სინამდვილისა ასევე „სალდათურათ“ იქცევა და თავის პატარა კულტუროსან ქვეყნის ბედს რუსულ ნაჯახით უხეშად სჩეხავს?!..

ვინ არ იცის, რომ საქართველო წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანაა?

ქვეყანა გლეხ მევენახეებისა, მებაღეებისა, მეთამბაქოებისა, მეაბრეშუმეებისა, მეცხვარეებისა?

ვინ არ იცის, რომ უკანასკნელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართველ გლეხკაცმა საკუთრებად აურაცხელი მამული შეიძინა და თავადაზნაურობის წოდებრივი ხუხულა კიდეც დაშალა და გაანიავა?

ვინ არ იცის, რომ ამისათვის, გარდა დიდ შრომა-უნარის გაწევისა, ქართველმა ღარიბმა გლეხკაცობამ არა ერთი და ორი ათეული მილიონი ნაოფლარი მანათი შეალია?

ნუ თუ ჩვენ ფედერალისტურ ყაიდის სოციალისტებს დაავიწყდათ ახლო

წარსულის შესანიშნავი მაგალითი,— როდესაც 905 წლის სოციალისტურ პროპაგანდას, ქართველმა გლეხმა გაშმაგებული მიწის სყიდვით უპასუხა და ნუ თუ ვერ ამჩნევენ, რომ ეს ტალღა დღემდის არ დამცხრალა?

„ეროვნულ პარტიას" არ ეპატიება ერის ცხოვრების სინამდვილის გვერდზე ახვევა!

ამ რიგად ქართველი გლეხკაცი ბევრად გონიერი, გამჭრიახი და ქვეყნის მომავლის ნამდვილი მესვეური გამოდგა, და არა ჩვენი „შუქურ ვარსვლავები" ფედერალისტები.

ვარ.სკვლავების ძებნით გატაცებულ ფედერალისტებმა ვეღარ შეამჩნიეს ქართველ გლეხკაცობის მესაკუთრეობის გიგანტური ზრდა და თუ რა მოელის ეხლა მათ „სოციალიზაციას", ქართველ მესაკუთრე გლეხკაცის ხარჯზე საქართველოში, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

შეიძლება მაინც წინდაწინვე ითქვას, რომ ასეთ „ეროვნულ იდეოლოგიის" მქადაგებლებს ქართულ სოფლებში ზოგან მართლაც სიცილი დახვდება, ზოგან კი კეტი.

ჩვენ არასოდეს ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ ქართველი ფედერალისტები თავის ბუნებაში დენაციონალისტურ მიკრობების მატარებლები იყვნენ და თუ ის უკანასკნელნი აქამდის მოხერხებულათ უმალავდნენ, დღეს ვეღარას გახდნენ და ქვეყნის წინაშე წარსდგნენ მთელი თავისი დაავადებულ შინარსით.

ქართველი წვრილი მესაკუთრე თხოულობს მიწის საკმოდ მომატებას და მის საკუთრების გამაგრებას ინტენსიურ მეურნეობის მეთოდების შემწეობით..

ფედერალისტები მას „სოციალიზაციას" შეაძლევენ.

პატარა, დაქსაქსულობით, დაუძლურებული საქართველო ცენტრალისტურ პოლიტიკურ მართვას ნატრობს.

ფედერალისტები მას „დეცენტრალიზაციას" სთავაზობენ.

ამით ქართველი ერი პურსა არსებობისას იხვეწება.

ფედერალისტები მას რუსის ნაჯახით მასპინძლობენ.

**დ. კახელი.**

## „მეტამორფოზა".

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის შემდეგ „მეტამორფოზების" უდიდეს ავტორად თედო ღლონტი უნდა ჩაითვალოს.

მას რაღაც „მეტამორფოზა" დაემართა და ჰირვეულობს:

დამიჯერეთ, თორემ ეხლავე სოციალიზმს განვახორციელებო!

ლენინისა და ბოლშევიზმის ხანაში თედო ღლონტს, აშკარაა, არავინ დაიჭერს. მაშ, სოციალმი „მოხდება".

დავყურებ საათს და განცვიფრებული ვკითხულობ:

— ღმერთო! როდისაა, რათ გვალოდინებენ! სად არის ჰინკრაქა, რომელმაც ზღვა უნდა დასწვას? რატომ არ მოდის სოციალიზმი, თუ კი მეტამორფოზა მართლა მოხდა თედო ღლონტის თავში!

ამ დღეებში ერთმა ნაცნობმა მკითხა:

— ვინ არის ეს თქვენი თედო ღლონტი?

ჩემს ნაცნობს აუხსენი, რომ თედო ღლონტს ძალიან ეწყინება თუ გაიგო, რომ მას ჩვენად სთვლიან.

— მაშ ვისია?

— თედო მათია! ვეუბნები მე—ამას სახელიც ამტკიცებს.

— როგორ?

— თედო—თედუს—foedus,—ფედერაცია!

რადგანაც ჩემ ნაცნობს რეალური აღზრდა აქვს მიღებული და არა კლასიკური, იმასაც უხსნი რომ ლათინური foedus—კავშირია.

ვისიც უნდა იყოს თედო ღლონტია. ერთი რამ მაინც აშკარაა, ის დიდი მეტამორფოზისტი და დიდი სოციალისტია.

არას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა დიდ ადამიანად იქნება ის მიჩნეული, როდესაც დღე დღეზე თედო ღლონტი სოციალიზმს განახორციელებს.

მარქსი და ენგელსი ჩამოვარდებიან იმ კვარცხლბეკიდან, რომელზედაც ისინი სდგანან და „კაპიტალის" ადგილს დაიჭერს თედო ღლონტი, როგორც ავტორი „სოციალურ მეტამორფოზისა".

რა არის ეს ღლონტის მეტამორფოზა".

მე მგონია ღლონტის მეტამორფოზა ისეთივე უნივერსალური საშუალებაა, როგორც ცნობილი პრეპარატები მედიცინისა, პარფიუმერიისა და კოსმეტიკისა, რომლებიც შემდეგ სახელებს ატარებენ:

— კეფალდოლი—დოქტორ პელისა.

— სპერმინი—დოქტორ ლიუციუსისა.

— ბრიოლინი—პროფესორ ოკიტაროსი.

ანდა „უროდონალი" ვინმე პაპასპირაკისა.

პირადათ თედო ღლონტი ასე ხსნის თავის მეტამორფოზას:

—„ეროვნული პრინციპის მაქსიმალიზაცია—აი შინაარსი ახალი მეტამორფოზისა".

ეს კი, ავტორისავე სიტყვით, ნიშნავს:

— ნაციონალურ სოციალიზმს სახელმწიფოში!

— მუნიციპალურ სოციალიზმს ქალაქებში!

— კოოპერატიზმს წარმოების და აღებ-მიცემობის ყოველ დარგში.

— ხოლო სოციალურ აგრარიანიზმს სოფლად.

მკითხველი მიხვდება, რომ ყოველი სიტყვა ახალია, თუ სათვალავში არ მივიღებთ მას, რომ სიტყვა „აგრარიანიზმი" „მესსიანიზმიდან" უნდა იყოს ალბად წარმოებული.

მაგრამ, რასაკვირველია, საქმე სიტყვაში არ არის და ისიც ერთ სიტყვაში.

თედო ღლონტის „სოციალური მეტამორფოზა", ან ეროვნულ პრინციპის მეტამორფოზა, როგორც თითონ უწოდებს ავტორი, სადი ფილოსოფიაა ფედერალიზმისა და არ უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი ბრწყინვალე იდეა დაიბადა ისეთ ლოკოკინაში, როგორიც არის „სახალხო ფურცელი".

მარგალიტებიც ლოკოკინაში იბადებიან!

**ფარხმან ფარუხა.**

# პრესა

### „თავისუფლების სესხი" და სოციალ-დემოკრატები

თბილისის სოც.-დემ. „ბოლშევიკთა" გაზეთი „კავკასკი რაბოჩი" სწერს:

ქართულ გაზ. „ალიონი"-ს № 5 პირველ გვერდზედ ვკითხულობთ:

„ვისაც გსურთ მიწა და თავისუფლება, მტერზედ გამარჯვება, შრომის სამართლიანად დაჯილდოვება, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, ეროვნული ბედნიერება, რესპუბლიკა, ავტონომია, რწმენის თავისუფლება და პირადი ბედნიერება, ხელი მოაწერეთ თავისუფლების სესხსო".

ასეთნაირი განცხადებანის ნახვა შეიძლება შოვინისტურ და კონტრრევოლუციონურ ბურჟუაზიულ პრესის ფურცლებზე. იმ გაზეთების ფურცლებზე, რომელნიც გაჰკივიან საერთაშორისო სისხლის ღვრის და ძარცვის გაგრძელებას, ასე სწერენ და მოუწოდებენ აგენტები ბურჟუაზიის და მილიტარიზმის იდეოლოგები, რომელნიც პირ-ნიღაბით დადიან.

„ვისაც გსურს ომი მტრის დამარცხებამდე—მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხს—მოუწოდებს გაზეთი. ომი გამარჯვებამდე, აი დევიზი გაზეთ „ალიონი"-ს, რომელიც თავის-თავს სოციალურ დემოკრატიულს ეძახის, ისე როგორც გაზეთი „ალიონი" ჰხსნის წმიდა დევიზებს ინტერნაციონალისას, პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით, რომელიც გაზეთის თავში არის დაბეჭდილი უსათუოდ ასეა: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით ერთი მეორის დასაჟლეტათ. ამხანაგებო, დროა მოვხადოთ ნიღაბი ამ „სოციალისტებს" იმპერიალისტებს. დროა მათ ვუჩვენოთ შესაფერი ალაგი: სამარცხვინო სვეტი.

ასე უმასპინძლდებიან ბალშევიკები ქართველ სოციალ დემოკრატების ავტონომისტურ „ალიონს". ს. ქავთარაძის გაზეთს ერთი რამ დავიწყნია: თავისი „პროკლამაციის" კოპიო „ერთობისათვისაც" უნდა წარეგზავნა, რადგან „ერთობაშიც" ისეთი განცხადება იყო მოთავსებული, როგორც „ალიონში", სავსებით ისეთივე, წარმოიდგინეთ, „ერთობას" სიტყვა „ავტონომიაც" კი არ ამოუგდია განცხადებიდან. მაგრამ „ერთობა" „ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციათა ორგანოა"... „კავკაზსკი რაბოჩის" ბალშევიკებს კი დაბალი ყორეები ჰყვარებიათ.

* *

### „უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი და სომხები.

ორგანოს სომეხთა „სახალხო პარტიისას", „მშაკს", რუსეთის ხალხის მიერ წამოყენებული ლოზუნგი, „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, სომხური თვალსაზრისით ძლიერ არ მოსწონს. ეხება რა სომეხ რევოლიუციონურ პარტიების შეხედულობას ამ ლოზუნგთან დასძენს:

„ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ „დაშნაკცუტიუნის" და „ჰინჩაკის" პარტია, რომელთაც შექმნეს დღევანდელი ჯოჯოხეთური მდგომარეობა ოსმალოს სომეხთათვის, ხმას არ იმაღლებენ გარკვეულად ამ საკითხზედ და თავს აძვრენენ. ჩვენ კი საკითხს პირდაპირ ვსვამთ. ეხლა დრო არ არის გაურკვეველი და უნაყოფო დადგენილების გამოტანის. უნდა გარკვეულად გადაიჭრას საკითხი, რომლისგანაც დამოკიდებულია ბედი და ბედნიერება სომხეთისა და მთელი სომეხ ხალხისაო".

„დაშნაკცაკანებს" ალბად ახლა ოსმალეთის სომხეთისათვის აღარ მოეცლებათ. ჩვენი ბედნიერი სოც.-ფედერალისტებისა არ იყოს, ახლა „სოციალისტური სიმწიფის" სხვა და სხვა ეგზამენებს იჭერენ თბილისის ყრილობებზე.

# რევოლუცია

### დეპეშები

**სრულიად რუსეთის ოფიცერთა ყრილობა.**

**პეტროგრადი,** მაისის 18. სრულიად რუსეთის აფიცერთა ყრილობაზე გუშინ მსჯელობა სექციებში იყო. ყრილობის დაწყისში მოხდა ახალ პრეზიდიუმის არჩევა. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერთხმად კაპიტანი გლუხარევი. კვირას აფიცერთა ყრილობამ ინახულა თავისუფლებისათვის დახოცილთა საფლავი.

**წერეთელი მოსკოვში.**

**მოსკოვი,** მაისის 18. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა კაკი წერეთელმა აღმასრულებელი კომიტეტი ინახულა.

**მღვდლის გადაყენება.**

**მინსკი,** მაისის 16. სოფელ მოროჩში გლეხებმა გადააყენეს თანამდებობიდან და საეკლესიო სახლიდან გააძევეს მღვდელი, ხოლო მისი მიწები თვითონ გაიყვეს.

**დონის ბასეინის მუშათა დელეგაცია.**

**პეტროგრადი,** მაისის 15. აქ მოვიდა დონის ბასეინის მუშათა დელეგაცია, წარუდგა შრომის მინისტრს და განუცხადა, რომ საჭიროდ მიაჩნია მწარმოებელთა და მუშათა პირობების შემუშავებას დაესწროს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრიო.

**ებრაელთა მიტინგი.**

**პეტროგრადი,** მაისის 15. აქ მოხდა ებრაელთა საერთო მიტინგი. მიტინგზე სხვათა შორის ილაპარაკა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა ბრამსონმა. მან მოუწოდა ყველას, დროებით მთავრობას მხარი დაუჭირეთ, რადგან მოსალოდნელია კონტრ-რევოლიუცია სამი მხრიდგანაო. ერთის მხრივ თავი წამოჰყვეს ბნელმა ძალებმა, მეორე მხრივ კონტრ-რევოლუციას ხელს უწყობს ლენინი თავის მომხრეებით და მესამე ელემენტი კონტრ-რევოლიუციისა ეს, ჯერ-ჯერობით მიყუჩებული და გარემოების მომლოდინე გუჩკოვი და მილიუკოვიაო.

**დეზერტირები.**

**კიევი.** მაისის 16. გუშინ, ქალინსკის ქუჩაზე ჩხრეკის დროს, გამოჩნდა მშვიდობიანი ბრბო დეზერტირებისა, რომელთაც ომში წასვლის სურვილი განაცხადეს. ამ ბრბოში აღმოჩნდნენ პროვოკატორებიც, რომელნიც თავის აღფრთოვანებულ სიტყვებით მიჰმართავდნენ ხალხს—აეყარათ იარაღი მილიციონერებისათვის. და თითქოს მათგან ნაცემი ჯარისკაცები დაეფარათ. პროვოკატორთა შორის ერივნენ ჟანდარმები და პოლიციელები. გუშინ დეზერტირები კრეშჩატიკისკენ წავიდნენ. გზაზე მილიციონერებს და პატრულებს სცემეს. სამხედრო დეპ. საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა თხოვნით მიჰმართეს—შეეჩერებინათ თავისი საქციელი. ბრბომ არ უსმინა, იგი კვლავ განაგრძობდა კრეშჩატიკისაკენ წასვლას და გზაზე ავტომობილებს აჩერებდა. დეზერტირების ამბოხებამ დიდი მღელვარება გამოიწვია. მგზავრები იმალებოდნენ. დეზერტირების წინააღმდეგ პრაპორშჩიკების სკოლა და ჯარი გამოიწვიეს. ალექსანდრეს ქუჩაზე დეზერტირებს საბარგო ავტომობილი დახვდათ მასზე მყოფმა რაზმმა თოფები ჰაერში დასცალა, დეზერტირებმა იარაღი დაჰყარეს და გაიქცნენ. შემდეგ საძმო მონასტერთან კვლავ შეიკრიბნენ, მაგრამ იუნკრებმა გაჰფანტეს. ნილიონის ქუჩაზე დეზერტირები თავს დაესხნენ ცხენოსან იუნკრებს და იარაღი აჰყარეს. აქვე ჯარს წაართვეს ტყვიისმფრქვეველი. მოსულმა ჯარმა დეზერტირების ნაწილი დაატყვევა, ხოლო დანარჩენი გაიქცნენ. რამდენიმე დაჭრილია. დღისით გამოსცეს განკარგულება, თუ დეზერტირები კვლავ გაიმეორებენ თავისს საქციელს—ჯარი იარაღს იხმარს. საღამოთი ქალაქში სრული სიწყნარე ჩამოვარდა. დატყვევებულია რამდენიმე ათასი დეზერტირი. 1500 დეზერტირი თავის ნებით მოსულნი ბრძოლის ველზე გაიგზავნენ.

**ტყეების დაწვა.**

**ჟიტომირი.** მაისის 18. ოვრუჩის მაზრაში ტყეებს ცეცხლი მოედო. თუ ცეცხლმა რამდენიმე დღე კიდევ გასტანა, მაშინ რკინის გზაც მეტად დაზიანდება, გლეხები უარს ამბობენ ჩაქრობაზე. ჯარი გაგზავნილია. როგორც ახლა ირკვევა ტყეებისთვის ცეცხლი განგებ წაუკიდებიათ.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 16. მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. აღმასრულებელ კომიტეტის ცნობით მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. სრულიად რუსეთის ყრილობისთვის უკვე ემზადებიან. საოლქო და სალაშქრო კომიტეტები უკვე შესდგა. ლაშქრის ზოგიერთ ნაწილებში ყრილობა გაიმართა და დელეგატები აირჩიეს. დელეგატები მიყრუებულ ადგილებიდანაც მოდიან.

**შინგარევის მოხსენება.**

**დონის-როსტოვი.** მაისის 18. თეატრის დარბაზში ყრილობა იყო. შინგარევმა სასურსათო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. ყრილობის შემდეგ დაიწყო თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა. ფული ბევრი შემოვიდა.

**დროებითი მთავრობისაგანა.**

**პეტროგრადი.** მაისის 17. ამ ბოლო დროს უწესოებამ იჩინა თავი. ძალადობა, ღვინის სარდაფთა გატეხა, ლოთობა და მოქალაქეთა საცხოვრებლის დამსხვრევა-მოტაცება დიდს საფრთხეს უმზადებს თავისუფლების საქმეს, მით უმეტეს, როდესაც ასე იქცევიან ჯარის კაცები, რომელთაც დიდი მოვალეობა აძევთ კისერზე. ეს მოვალეობა სამშობლოსა და თავისუფალ მოქალაქეთა მშვიდობიანობის დაცვაა. დროებითი მთავრობას,—აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია რა ამ გვარ უწესოების მოსპობა არა მარტო მოქალაქეთა, არამედ სამშობლოს კეთილდღეობისათვის,—საჭიროდ სცნობს რევოლიუციისა და ხალხთა თავისუფლების ამ გვარ მტრების სასტიკად დასჯას. ამიტომ დროებითმა მთავრობამ საჭირო განკარგულებაც გამოსცა. ხელს აწერენ მინისტრი-თავმჯდომარე თ-დ ლვოვი და იუსტიციის მინისტრი პერევერზევი მაისის 13, 1917 წ.

**დეზერტირების წინააღმდეგ.**

**კიევი.** მაისის 18. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სადგურ ჟმერინკაში მოხდა შეერთებული სხდომა ადგილობრივ კომიტეტებისა, ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოსი. სხდომამ დაადგინა ენერგიული ზომები მიიღოს დეზერტირების წინააღმდეგ და შეპყრობილი დეზერტირების სატუსაღო ვაგონებით პირდაპირ ფრონტზე გაჰგზავნონ.

**5.000 დეზერტირი**

**კიევი.** მაისის 18. განმანაწილებელ პუნქტში, თავისის ნებით 5.000 დეზერტირი გამოცხადდა. საღამოთი ყველანი ფრონტზედ გაჰგზავნეს.

**სამღრთ-სჯულის სწავლების მოთხოვნა დაიწყო.**

**რიაზანი.** მაისის 18. ეპარქიის ყრილობას მონაწილეობს 300 დელეგატზე მეტი. ყრილობის სახლის წინ შეყრილი ბრბო, უმთავრესად ქალაქებისა, მოითხოვდა სამღვთო-სჯულის სავალდებულო სწავლას სკოლებში.

**კერენსკი სევასტოპოლში.**

**სევასტოპოლი.** მაისის 17. (დაგვიანებულია). მაისის 17 დილით სევასტოპოლში მოვიდა სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი ამირბარ კოლჩაკისა და შავი ზღვის ფლოტის დელეგატთა თანხლებით. ფლოტი, მეციხოვნე ჯარი და სევასტოპოლის მოქალაქენი ღირსეულად დაჰხვდნენ მინისტრს. კერენსკის წარუდგნენ ციხის კომენდანტი, კომისარი, ქალაქისა, სამხედრო კავშირებისა და ორგანიზაცია—პარტიების წარმომადგენელნი.

**სკობელევი და მოხელეთა დახმარება.**

**პეტროგრადი,** მაისის 17. ამას წინედ სატახტო გაზეთებში მოთავსებულ ცნობის გამო, თითქოს შრომის მინისტრი სკობელევი წინააღმდეგი ყოფილიყოს მოხელეთა ფულით დახმარებისა, სკობელევმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა: „ვერ გამიგია, ვის რად უნდა ასეთი ჭორების გავრცელება. მოხელეთა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი განსახილველად ფინანსთა მინისტრს გადაეცა და დროებით მთავრობის ხელში არ გადასულა. ნუ თუ ვინმეს შეუძლიან სთქვას, რომ მე პირისპირ წინააღმდეგი ვარ მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რომელთა სასყიდელი ფრიად მცირეა"!

**დაჭრილ დასახიჩრებულ მხედართა კავშირი**

**პეტროგრადი,** მაისის 15. (დაგვიანებულია) დაჭრილ დასახიჩრებულ მხედართა კავშირი მოუწოდებს ომში დაზიანებულთ, სრულიად რუსეთის ყრილობაზე თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ. პეტროგრადი, ფრანგთა ნაბერეჟნის ქუჩა, 36.

**პროფესიონალ კავშირთა გაერთიანება.**

**პეტროგრადი,** მაისის 17. შრომის მინისტრმა სკობელევმა აღძრა საკითხი, რათა მთავრობის დაწესებულებებში არსებულ პროფესიონალ კავშირებმა დააფუძნონ ერთი ცენტრალი ორგანო, რომელშიაც ყველა კავშირები უნდა გაერთიანდეს.

**იშვიათი ყრილობა.**

**პეტროგრადი,** მაისის 17. მაისის 23-ს პეტროგრადში იშვიათი ყრილობა იქნება. ყრილობას ექსპერიმენტალ პედაგოგიის საზოგადოება იწვევს. ყრილობას მიზნად დასახული აქვს იმ საკითხების გამორკვევა, რომელნიც შეკავშირებული არიან რუსეთში ახალ პოლიტიკურ წესწყობილების და ახლად დასახულ სასკოლო სამუშაოს შემოღებასთან ერთად.

**საზოგადოებრივი კომიტეტები და საეკლესიო საქმე**

**პეტროგრადი,** მაისის 18. მინისტრთა თავმჯდომარემ ლვოვმა საგუბერნიო კომისარებს შემდეგი განკარგულება დაუგზავნა: ზოგიერთ ადგილებში საზოგადოებრივი კომიტეტები ერევიან ეკლესიის საქმეში და ეკლესიებს თავიანთ ნებაზე ამოქმედებენ. ეს კი მორწმუნეთა აღშფოთებას იწვევს. ამ გვარი საქციელი ფრიად უკანონოა. გთხოვთ ყოველივე ზომები მიიღოთ და მათ წინააღმდეგ შესაფერი განკარგულება მოახდინოთ.

# ეროვნული საკითხი

### დეპეშები

**პოლონეთი.**

**სტოკჰოლმი,** მაისის 15. პოლონურ გაზეთების ცნობით, პოლონელთა სახელმწიფოს საბჭომ ცენტრალ იმპერიებს ორ მოთხოვნილებით მიჰმართა. პირველი შეეხება რეგენტის დამტკიცებას, რომელმაც უნდა შეჰქმნას მკვიდრი სამინისტრო კაბინეთი და მოიწვიოს პოლონელთა სეიმი. მეორეთი საბჭო მოითხოვს პოლონეთში დროებითი მთავრობის დაარსებას. მთავრობაში აუცილებლივ პოლონელი მინისტრები უნდა იყვნენ. მათ სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებს. კომისარმა კონოპკამ განაცხადა, რომ ცენტრალ იმპერიებისაგან ახლო მომავალში პასუხს მივიღებთო.

**ეროვნებათა ავტონომია.**

**სტოკჰოლმი,** მაისის 17. პოლონელ-სკანდინაველთა კომიტეტმა მაისის 14-ს სტოკჰოლმში ავსტრიელ-გერმანელთა სოციალისტების პარტიის დელეგაცია მიიღო. დელეგაციამ განაცხადა, რომ ომის საბაბი, მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმიაო. მიზეზად ნაციონალი კითხვების დასახელებაც შეიძლებაო. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სხვა და სხვა ეროვნებანი იმდენად არეულდარეულნი არიან, რომ მათი ტერიტორიალი განსაზღვრა, მხოლოდ ახალს კონფლიქტებს გამოიწვევდაო. იქ, სადაც ეროვნებათა განსაზღვრა შეიძლება, ამგვარი პოლიტიკა მცირე სამეფოთა კოალიციას და დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დაცემას გამოიწვევსო. ამისთვის დელეგაცია მოითხოვს ეროვნებათა ავტონომიას. ამის განხორციელება, ბაზელის კონფერენციის თანახმად, თვით ეროვნებებს უნდა მიენდოს.

**ეროვნებანი რეიხსტაგში.**

**სტოკჰოლმი,** მაისის 18. ვენის „კორესპონდეც ბიურო" რეიხსტაგის სხდომის შესახებ იუწყება: მდივნის არჩევის შემდეგ თავმჯდომარემ ნება ითხოვა კრების სახელით იმპერატორისათვის თავის უქვეშევრდომილესი გრძნობანი განეცხადებინა და წინადადება შეიტანა მივესალმეთ გერმანეთის, ოსმალეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის ხალხის წარმომადგენლებსაო. ჩეხელმა სტანეკმა და მოროჩეკმა განაცხადეს თუ რას ესწრაფვის ავსტრიის მონარხიის სლავიანებით დასახლებული ნაწილები. მათი სურვილია ერთ ეროვნულ ორგანიზმის შექმნა გაბსბურგთა დინასტიის ხელქვეითობითაო. ჩეხელმა კალინამ რუსეთის რევოლუციის მიერ წამოყენებულ ხალხთა თავისუფლებისა და ძმობა - ერთობის პრინციპს სრული თანაგრძნობა გამოუცხადა, უკრაინელმა პეტრუშევიჩმა მოითხოვა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერიაში ყველა უკრაინელები ერთს ერთეულად იყვნენ შეერთებულნი, პოლონელმა სტაპინსკიმ განაცხადა, რომ პოლონელებით დასახლებული ოლქები უნდა გაერთიანდნენო.

შემდეგი სხდომა თიბათვის 5-თვის არის დანიშნული.

# ომი და ზავი

### დეპეშები

**საფრანგეთის მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პარიზი,** მაისის 18. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** სენ-კოტენის სამხრეთით ორივე მხრის არტილერია ენერგიულად ჰმუშაობდა. შამპანში ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეა ჩააჩუმა, რომელიც მონგოსა და კასკეში ჩვენს სანგრებს ყუმბარას უშენდა.

**პარიზი.** მაისის 18. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** ვოკსაინ-ლავოსა და რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით მაღლობ „108" ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ბერრი-ოიბაკის სამხრეთით მტერმა რამდენიმე ნაღმი ააფეთქა და აფეთქების დანგრეული სანგრები დაიჭირა. შამპანში კონტრ-იერიშით მტერი წინა ღამით დაპყრობილ ადგილებიდან განვდევნეთ. დანარჩენ ადგილებში მშვიდობიანობაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა მტრის 5 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

**ახლო აღმოსავლეთი.** მთელს ფრონტზედ საარტილერიო ბრძოლაა. დევილის ჩრდილოეთით ჩვენმა მფრინავებმა მტრის თხრილებში რამდენიმე ყუმბარა ჩააგდეს. დასავლეთ ალბანიაში ბრიტანეთის ჯარის ფრონტზედ, არაფერი შესანიშნავი, გარდა ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლისა, არა მომხდარარა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

**პარიზი,** მაისის 18. **დღის ოფიციალი.** სენვანტერის სამხრეთით და შმენ-დუ-დამში, სერნი და იურტების მახლობლად ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს იერიშის მოტანა. ობერივის ჩრდილო-დასავლეთით მთა ბლონზე გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. ტეტონის, კასკეს და მონგოს პოზიციებზე გერმანელები ძლიერ იერიშებს აწარმოებენ და მხოლოდ ერთ ადგილას, მონგოს ჩრდილო-დასავლეთით მოახერხეს დაეჭირათ ჩვენი თხრილები. დავატყვევეთ რამდენიმე ჯარის კაცი და 2 აფიცერი. მაასის მარცხენა ნაპირზედ მაღლობ „304" რაიონში საკმაო ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელების ორი იერიში უნაყოფო იყო.

**ბელგეთის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** მაისის 18. **ოფიციალი.** სტეენსრეტის მიმართულებით ძლიერი ბრძოლაა, დიკსმიუდესთან ძლიერი საარტილერიო სროლაა.

**იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მაისის 18. **ოფიციალი.** ტრენტინისა და კარნიის ფრონტზედ წვიმა ხელს უშლიდა არტილერიის მოქმედებას, სამაგიეროდ დასაზვერად ფრიად ნაყოფიერი იყო. მაისის 17 ღამე ტონალეს რაიონში მოწინააღმდეგემ ორი მედგარი იერიში მოიტანა ჩვენს სადარაჯოებზედ, მაგრამ უკუ ვაგდეთ. მონტე პიტუანოს სამხრეთით და როკეტლანოსთან მტერმა რამდენიმე უნაყოფო იერიში მოიტანა. მაისის 15 ჩვენი ალბანელი ჯარი თავს დაესხა მტრის რეგულიარ ჯარს. დავიპყარით სოფლები ჩერედავო და ველპოესი.

**ბრიტანეთის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 19. **ოფიციალი.** არმანტიერის სამხრეთით მტრის ერთი რაზმი უკუ ვაგდეთ და ბევრი დავატყვევეთ. ბიულეკურთანა და სკარპის მარჯვენა ნაპირზე ორივე მხარე ზარბაზნებით იბრძვის.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**სოლუნი.** მაისის 15. (დაგვიანებულია) **ოფიციალი.** ჩვენმა მფრინავებმა დიდი ზიანი მიაყენეს მტერს ბოგლაჩთან და ლიკუნოვში. ვადარის რაიონში და მდ. ტრონის ნაპირებზე დიდი საარტილერიო სროლაა.

**ბელგეთის ცნობა.**

**ჰავრი.** მაისის 17. (დაგვიანებულია) **ოფიციალი.** შუადღის ორ საათზე ჩვენმა სანგრების არტილერიამ მოქმე-

დება განახორციელა. ღამე მტერი ცდილობდა ჩვენს საყარაულოზე თავდასხმას.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** მაისის 18. ვარდარის მარჯვენა ნაპირზე და ცრნის ღელეში არტილერია ჰმოქმედობს.

**ბელგიელი სოციალისტები.**

**მოსკოვი.** მაისის 17. ვანდერველდემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა,—ბელგიელი სოციალისტები მოითხოვენ სომხეთის განთავისუფლებას, ხოლო ელზას-ლოტარინგიის საფრანგეთ-იტალიეთთან შეერთებას. ეს იქნება არა ანექსია, არამედ დეზონექსია. კონტრიბუციას, ბელგიელი სოციალისტები, რასაკვირველია, უარჰყოფენ მაგრამ მოითხოვენ სამხედრო კონტრიბუციას და გერმანელების მიერ მოყენებულ ზარალის ანაზღაურებას. ამისთვის კი გამარჯვებაა საჭირო.

**გერმანელი სოციალისტები კონგრესზე.**

**კოპენჰაგენი.** მაისის 17. გუშინ საღამოთი, ბერლინიდან სტოკჰოლმში მოვიდნენ გერმანელთა სოციალისტების მეუმცირესეთა დელეგატები და მუშათა კავშირების წარმომადგენლები: მიულერი, დავით მოლკენბურჰი, ფიშერი, ბაუერი და ზასსენბაჰი. შეიდემანი უკვე რამდენიმე დღეა რაც სტოკჰოლმში იმყოფება.

**რუმინეთის გაზეთების ცნობა.**

**კიშინიოვი.** მაისის 19. რუმინეთის გაზეთები იუწყებიან: რუსის არტილერიამ მტრის ბატარეიას და გალაცის სადგურს ყუმბარა დაუშინაო. მიხალის სამხრეთით რუსეთის არტილერიამ სოფელ როშკოსა და მაკსინენში მოსპო მტრის 3 ავტომობილი და გაჰფანტა მტრის ერთი რაზმიო.

**ამირბარი კოლჩაკი.**

**პეტროგრადი.** მაისის 18. ამირბარი კოლჩაკი შავი ზღვის ფლოტის უფროსად დარჩა.

**იტალიელთა გუნება.**

**რომი.** მაისის 16. მთელს იტალეთში სიხარულია ჯარის მარჯვე მოქმედების გამო, მაგრამ ამასთანავე შიშობენ, რომ ავსტრიის ჯარის რუსეთის ფრონტიდან იტალეთის ფრონტზედ გადმოყვანას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. დიდს იმედს ამყარებენ რიგის ფრონტის ასპარეზზე.

**რაიხსტაგი.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 18. ვენიდან მოსულის ცნობით, მაისის 17-ს რაიხსტაგი გაიხსნა. თავმჯდომარედ ამორჩეულია გერმანელთა ნაციონალ კავშირის ყოფილი თავმჯდომარე გუსტავ გროსსი, რომელმაც სამადლობელ სიტყვაში წარმოსთქვა: ძველმა ჰაბსბურგთა მონარქიამ მტერთან ბრძოლაში დიდი სიცოცხლე გამოიჩინა. მტერმა ზიანის მაგიერ ყველანი შეგვაერთა და გაგვამაგრა. ესდენი უტეხი ნებისყოფა და გაერთიანება მოგვანიჭებს გამარჯვებას და დამოუკიდებლობას ომიანლში. მაგრამ ჩვენ არასდროს არ განგვიზრახავს სხვა ხალხთა დამონებაო. ვიცე პრეზიდენტად ამოირჩიეს: პოლონელი გორეანი, გლეხთა სოციალისტი იუკელი, ს—დ., ჰერნერსტორფი, სლოვენელი პოპაცნიკი, რუსინელი რომანჩუკი, რუმინელი სიმონოვიჩი და ჩეხი უდორჟალი.

**განცხადება დეზერტირობის შესახებ.**

**პეტროგრადი.** მაისის 18. მინისტრთა თავმჯდომარემ ლვოვმა დეზერტირების შესახებ გუბერნიის კომისარებს შემდეგი განცხადება დაუგზავნა: „მაისის 15 უკანასკნელი ვადა იყო დეზერტირების გამოცხადებისა და რადგან ამ ვადის გაგრძელება სამშობლოსა და მოქალაქეობრივ უფლებათა ღალატია, ამიტომ დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები ამ სენის აღმოსაფხვრელად. მოუწოდეთ ყველა საზოგადოებრივს ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ მთავრობის დაწესებულებებს დეზერტირთა დაჭერაში და მათ დასჯაში, როგორც სახელმწიფოს წინაშე ვალის მოხდის უარმყოფელებისა. დეზერტირობის მოსპობას მალე შეუდექით და საქმის ვითარება შემატყობინეთ“.

**100 დეზერტირი.**

**უმანი.** მაისის 18. მაისის 18-ს 100 დეზერტირი შეიპყრეს. გლეხები მთავრობას ხელს უწყობენ დეზერტირთა დაჭერაში.

**გუშინ დეპეშათა სააგენტოს მთავარ ბანაკს ჩვეულებრივი ცნობები არ გამოუგზავნია.**

# რუსეთი და უცხოეთი

**მეხაათის გაცარცვა.**

**პოლტავა.** მაისის 11. (მიღებულია ფოსტით). პრილუკაში გაცარცვეს მესაათე ეპშტეინი და 32 000 მანეთის ნივთი წაიღეს.

**ხუნხუზთა თავდასხმა**

**ვლადივოსტოკი.** მაისის 15. ხუნხუზთა თავდასხმა ძალიან გახშირდა. ვლადივოსტოკთან, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად 50 ხუნხუზი თავს დაესხა ლინდაგულის თხრილებს. მოკლულია დარაჯი, ერთი ხუნხუზი დასჭრეს, ერთი დაიჭირეს, დანარჩენები გაიქცნენ.

**ყ ი ნ ვ ა**

**სევასტოპოლი,** მაისის 17. ყინვებმა გაანადგურეს პური და ხეხილი. ზარალი დიდია. სამხრეთ კალთეებზე ვენახებიც საკმაოდ დაზიანებულია.

**ქარხნის აფეთქება.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 16. ვენიდან იუწყებიან: ბელოვიცის სამხედრო ქარხანაში,—ჩეხიაში—აფეთქება მოხდაო. როგორც ამბობენ 50 კაცი დაღუპულა.

**შხუნას დაღუპვა.**

**კოპენჰაგენი.** მაისის 17. ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისიდან დანიაში მიმავალი დანელთა შხუნა „დებორა“ დაიძირა. მგზავრები გადარჩნენ.

**ჰუნგრეთის ახალი სამინისტრო.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 18. ბერლინიდან იუწყებიან: ჰუნგრეთის ახალ კაბინეთის შედგენა გრაფ იულიოს ანდრაშის მიანდეს.

**პროფესიონალ ორგანიზაციათა გაფიცვის დამთავრება.**

**პარიზი.** მაისის 18. პროფესიონალ ორგანიზაციათა გაფიცვა, რომელიც სამუშაოს ფასების მომატებას თხოულობდა, უკვე დამთავრდა. ახლა ქალთა სხვა ორგანიზაციებმა წამოაყენეს თავისი მოთხოვნილებანი. ქუჩებში დემონსტრაციები გაჰმართეს.

**ფრანგ-ინგლისელ დიპლომატების თათბირი.**

**ლონდონი.** მაისის 16. ოფიციალურად იტყობინებიან: გუშინ და დღეს, რიბომ, კამბონმა, პენლევემ და ჟომალლისმა სამხედრო დიპლომატიურ მოთათბირეთ ინგლისელთა სამხედრო კაბინეთთან დიდმნიშვნელოვან საკითხების შესახებ ბჭობა გაჰმართეს. ყველაფერში სრული შეთანხმება მოჰხდა საფრანგეთის წარმომადგენლები უკვე საფრანგეთში გაემგზავრნენ.

**ფინელების ახალი პარტია.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 16. მუშათა გაფიცვის გამო ფინეთში ფინელთა პოლიტიკურმა პარტიებმა შეადგინეს ერთი პარტია. პარტიის მიზანია სოციალ რეფორმათა განხორციელება და საკუთარ ინტერესების დაცვა. ხოლო პარტიის ძირითად ლოზუნგად იქნება მეუმრავლესთა გაყვანა მომავალ სეიმის არჩევნებში.

**ახალი გამოგონება.**

**ნიუ-იორკი.** მაისის 16. გამოგონილია ახალი ამაფეთქებელი ნივთიერება—ტეროლოლომი, რომლის ძალაც დიდად აღემატება დინამიტს ანუ ტრინიტროტილუოლოლს. ზემოხსენებული ნივთიერება აღმოაჩინა ამერიკელმა ექიმმა ლევ ვოლტოფომმა. იგი ირწმუნება, რომ ტეროლოლომის 5 გრამი საჭიროა 60 სართულის დასანგრევადაო. იმედია, როცა ამერიკელი ჯარი ევროპაში გადმოვა, ეს პრობლემა უკვე განხორციელდება.

**საყოველთაო სიძვირე დღით-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც. სულ მოკლე ხანში აჟყოპისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-ხამად გადიდდა, მოიმატეს სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით კიდევ გავადიდოთ გაზეთის ფასი. დღეიდან „საქართველოს“ თითო №**

**ე ღ ი რ ე ბ ა 10 კ ა პ.**

# ქრონიკა

## კ ა ვ კ ა ს ი ა

**სამხედრო ბეგარა.** შეღავათის მიმცემ მთავარ-სამხედრო კომიტეტის განკარგულების თანახმად, იმ პირთ, რომელთაც ბეგარის მოსახდელად გაყვანის ვადა გადადებული ჰქონდათ თიბათვის პირველამდე, ეს ვადა გაგრძელებული ექნებათ გიორგობისთვის 1-მდის. მაგრამ შეღავათის მიმცემი კომიტეტი განცხადებებს დაუბრუნებს იმ დაწესებულებებს, სადაც ვადაგაგრძელებულნი მუშაობენ ან მსახურებენ. განცხადება უნდა შემოწმონ რწმუნებულებმა. შემოწმება იმაში მდგომარეობს, რომ განცხადებაში აღნიშნულნი პირნი მართლაც მუშაობენ იმ საქმეზე, რომელიც მოხსენებულია განცხადებაში?.

**აბრეშუმის გაფუჭებული თესლი.** წლევანდელი სეზონისათვის საფრანგეთიდან გამოწერილი იყო კავკასიის მეაბრეშუმეთათვის ბლომად აბრეშუმის ჰპის თესლი. გამოწერილი თესლი მოვიდა რამდენიმე ათი-ათასი კოლოფი, რომელიც ხელად შეისყიდეს მეაბრეშუმეებმა. მაგრამ თესლი გაყინული და გამოუსადეგარი გამოდგა. მიწადმოქმედების დეპარტამენტის საშუალებით შუამდგომლობა აღიძრა საფრანგეთის მთავრობის წინაშე, რომ აღებული ფული მაინც დაებრუნებინათ მეაბრეშუმეთათვის. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა და პეტროგრადიდან თბილისში გამოიწვიეს „ბერტეს“-ს ფირმის წარმომადგენელი ბ-ნი მალარი, რომელთანაც მოლაპარაკება აქვს დეპარტამენტის სპეციალისტს ი. ქუთათელაძეს და იმედოვნებს, რომ საქმე სასურველად დამთავრდება.

**კავკასიის სამხედრო უფროსმა** შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამ ბოლო დროს ჯარის კაცებში ბევრი შუამდგომლობს კავკასიის ასპარეზიდან დასავლეთ ასპარეზის ბრძოლის ველზე გადაყვანის შესახებ კავკასიის მთავარსარდლის ბრძანებით ვაცხადებ, რომ ყველა ჯარის კაცები, რომელთაც კი სურვილი აქვთ ომში წასვლისა, გაგზავნილ იქმნებიან მხოლოდ კავკასიის ასპარეზზე. ამის გამო ყოველიგე შუამდგომლობა დასავლეთის ასპარეზზე გადაყვანის შესახებ ამაო იქნება და ასეთი თხოვნებიც განუხილავი დარჩება.

**ყრილობის განახლება.** როგორც ვიცით, ამას წინად უეცრად შესწყდა რუსეთის მიერ დაპყრობილ ოსმალეთის პროვინციების სამხედრო მოსახახსურეთა დელეგატების ყრილობა. გუშინ, მაისის ოცს, ყრილობა ისევ განახლდა ქალაქის საბჭოს დარბაზში.

**სომეხთა საქველმოქ. საზოგადოებამ** 220.000 მანეთი გაგზავნა თავრიზს ხორბლის სასყიდლად გადმოხვეწილთათვის.

**ჟანდარმებად და პოლიციელებად ნამყოფ ჯარისკაცებს,** სამხედრო მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, სოფლებში არ დაითხოვენ საოჯახო სამუშაოდ.

**„შავი წერტილის“ დადგენილება.** ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა თავმჯდომარემ, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა წევრმა ის. რამიშვილმა ასეთი წერილი მიიღო: № 4. ბ-ნ რამიშვილს. მუშათა წრეში პროვოკაციის გავრცელებისთვის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ თქვენ გაქვთ სიკვდილი მისჯილი. „შავი წერტილის“ საბჭო. მაისის 4, სად. 4 საათი.

**გროზნოს ამბები.** მაისის 10 გროზნოში დიდი არეულობა მოხდა. არეულობა იმით დაიწყო, რომ მთვრალ ჯარისკაცს ჩაჩანთან ჩხუბი მოუვიდა. ამის შემდეგ დაიწყო ჩაჩანთა რბევა. დეპუტატთა საბჭომ რბევის შეჩერება შესძლო. მოკლულია რამდენიმე ჩაჩანი და ერთი ჯარისკაცი. ამ ამბების გამო ადგილობრივმა მუშათა და ყაზახთა დეპუტატების საბჭომ მოწოდება გამოსცა.

## საქართველო

**ქიათურის ხალიკვიდაციო მამულები.** ჭიათურის მრეწველთა საბჭოს პეტროგრადიდან ინჟინერ ტოკარსკისგან დეპეშა მიუღია, რომელშიაც ის ატყობინებს საბჭოს, სამინისტრომ თქვენ მოწინააღმდეგეთა წინადადება მიიღოვო. თანახმად ამ წინადადებისა გერმანელთა წარმოებები ხაზინის ხელში გადავიდა. მთავრობა დააარსებს აქციონერულ საზოგადოებას და აქციების დიდს ნაწილს ბანკებს და კერძო პირებს გადასცემს. ტოკარსკი საბჭოს ურჩევს დაუყონებლივ აღძრით ახალი შუამდგომლობა მთავრობის წინაშეო.

**პროვოკაცია ქანეთში.** რიზაში ჩამოვიდა ჩხენკელი. ბნელი ძალების წყალობით აქ საშიშარი მდგომარეობა შეიქმნა მცხოვრებთა და ჯარისკაცთა შორის. მრავალრიცხოვან მიტინგზე დეპუტატმა მოუწოდა ჯარისკაცებს თავი დაანებონ ძველი მთავრობის მიერ შემუშავებულ წესებს დაპყრობილ ქვეყნის მცხოვრებთა მიმართ. დეპუტატის რჩევით შედგა ადგილობრივ მცხოვრებთა კომიტეტი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და ბნელ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. საღამოს დეპუტატის თანადასწრებით შედგა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა პროვოკატორების პიროვნებათა აღმოსაჩენად და მომხდარ უწესოებათა გასარკვევად.

**დახმარება აჭარლებს.** მასწავლებელი მარიამ დოლიძე შარშან ზაფხულში ერთი თვით ყოფილა აჭარაში და იქაურ ქალებს კარგად დაახლოვებია. მოზრდილ ქალებს უთხოვნიათ მისთვის, რომ წლევანდელი ზაფხულიც მათთან გაატაროს და წერა-კითხვა და ხელსაქმე შეასწავლოს. მარიამ დოლიძისა დაჰპირებია. ეხლა იგი ივნისის ათიდან აპირებს დანაპირების შესრულებას. მაგრამ საჭირო ნივთების უქონლობა ხელს უშლის. ამიტომ იგი სთხოვს საზოგადოებას საჭირო წიგნებს და ნივთებს და აგრეთვე აჭარლებისთვის ადვილ-გასაგებ საკითხავ წიგნების მოწოდებას. შემოწირულებანი შემდეგის მისამართით გაიგზავნება: Хуло (Бат. Обл.) მასწავლებელს მარიამ დოლიძეს.

**ახალი ჟურნალი.** თბილისში განზრახულია ამ მოკლე ხანში ყოველკვირეულ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა. რედაქტორებად იქნებიან კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი და კ. აბაშისპირელი. მონაწილენი: ს. ფირცხალავა, ი. გედევანიშვილი, განდეგილი, გრიშაშვილი, ქუჩიშვილი და სხვები.

**პროვოკაცია ქართველ ცხენოსანთა პოლკის შესახებ.** ამას წინედ ვიღაც პროვოკატორისაგან საზიზღარი შინაარსის წერილი მოუვიდა თბილისის მომქმედ ორგანიზაციებს ქართველ ცხენოსან პოლკის შესახებ, რომელიც სპარსეთში ეომება მტერს. როგორც სარწმუნოდ ამბობენ, წერილში ისიც კი ყოფილა მოჰორილი, ვითომც ქართველ ლაშქარს მოლაპარაკება ჰქონოდეს ქურთებთან, რომ რუსის ჯარს თავს დაესხათ და ამოეწყვიტოთო. ამ წერილს არ ამჟღავნებდნენ, მაგრამ იმის შინაარსი შემთხვევით გაუგიათ თბილისში არსებულ ქართველ ჯარის კაცებს და თავგამოდებით მოუთხოვნიათ გამოძიების დანიშვნა. სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებს საგანგებო გამოძიება დაუნიშნავთ და, როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი აშკარა პროვოკაცია გამომდგარა. პირველი აქტი პროვოკაციისა ამით დამთავრდა, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყობა მეორე აქტი, სახელდობრ ისა, რომ ქართველ მხედრებს გადაწყვეტილი აქვთ მონახონ პროვოკატორი და პასუხი აგებინონ.

## თბილისი.

**აღმასრულებელ კომიტეტის გაერთიანება.** მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებმა დაადგინეს იყოლიონ ერთი საერთო აღმასრულებელი კომიტეტი. ამ კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებად—ზურაბოვი და აფონსკი, მდივნებად—დანსკოი და შანშიევი.

— **მრეცხავთა გაფიცვა.** მაისის 19-ს ყველა სასტუმროების მრეცხავებიც გაიფიცნენ, ასე რომ ამ ჟამად მრეცხავების საერთო გაფიცვაა თბილისში.

**აკაკი ჩხენკელი,** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი ბათომის ოლქიდან უკვე დაბრუნდა თბილისში.

**ახალი პროგიმნაზია.** ვინაიდან გიმნაზიებში ადგილის უქონლობის გამო, ბევრი კარგად მომზადებული ბავშვები სასწავლებლის გარეშე დარჩნენ, თბილისის მე-4 სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლებს, მშობელთა წრესთან შეთანხმებით, გადაუწყვეტიათ დააარსონ ახალი პროგიმნაზია, რომელშიაც მიიღებენ მხოლოდ ზემო აღნიშნულ ბავშვებს.

**წვრილ ვაჭართა კრება.** კვირას, 21 მაისს, დილის 9 საათზედ დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება ავლაბრის თეატრში, სახლი მამამთაკრიშვილისა, მე-6 და მე-7 უბნების კომიტეტის ასარჩევად.

**„შევარდენი“.** მაისის 24-ს, საღამოს 7 საათზე, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში წლიური კრება ექნებათ საგიმნასტიკო საზოგადოების „შევარდენის“ წევრებს.

**ქართ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მორიგი კრება ორშაბათს,** 22 მაისს, საღამოს 8 საათზედ მოხდება დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. კრების პროგრამაა წარსულ მორიგ კრების განაჩენის წაკითხვა და დამტკიცება. საადმინისტრაციო კითხვები ახალ წევრების ამორჩევა.

**თავის დახრჩობა.** მაისის 17-ს დილის 7 საათზე ვორონცოვის ხიდიდან წყალში გადავარდა მაკრინე კიმოთეს ასული აღლაძისა. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

**მასწავლებელ ქალთა კრება.** კვირას, მაისის 21-ს, დილის 10 საათზე წმ. მარინეს საეკლესიო სკოლის ბინაზე მოხდება თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების ავლაბრის რაიონის დამფუძნებელი კრება.

**ქალაქის არჩევნები.** ქალაქის გამგეობა 50,000 მანეთს სთხოვს ქალაქის საბჭოს საარჩევნო წინასწარ ხარჯების დასაფარავად. საარჩევნო კომიტეტის ბიურო საარტისტო საზოგადოების შენობაშია მოთავსებული. მცხოვრებთა აღწერისათვის, რაიცა საჭიროა საქალაქო არჩევნებისათვის, თბილისი 200 უბნად არის დაყოფილი.

**შეერთებული ყრილობა.** დღეს, მაისის 21-ს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში დაიწყება ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების საოლქო ყრილობა, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს.

**სურსათი.** მაისის 20 ს, ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიიღო: ფქვილი 1 ვაგ. და სიმინდი 41 ვაგონი.

**ძარცვა-გლეჯა.** მაისის 20-ს, შეიარაღებული კაცები თავს დასცემიან სასურსათო პუნქტს ნავთლუღში და 7,000 მანეთი გაუტაცნიათ. ავაზაკები ჯერ არ შეუპყრიათ.

**ვალ. გუნიას იუბილეის გამო.** ვ. გუნიამ, მისი 35 წლის მოღვაწეობის საიუბილეო დღესასწაულის გამო მისალოცი დეპეშა მიიღო სპარსეთში მომქმედ ქართველ პოლკის აფიცერთა და ჯარისკაცთაგან. დეპეშას ხელს აწერს ლაშქრის უფროსი პოლკ. კვინიხიძე.

**სომეხ ოფიცერთა უტაქტიკობა.** მუშათა და ჯარის კაცთა უკანასკნელ სხდომაზე დეპუტატმა როზერშტეინმა მოხსენება გააკეთა პრაპორშჩიკ ავაკანიანის გამოსვლის შესახებ. ამ ორატორმა, „თავისუფლების მოედანზე“ მოითხოვა დახვრეტა ომში მიმავალ ოფიცრების და ჯარის კაცებისა. ავაკანიანი ჯარს მოუწოდებდა ფრონტზე ნუ წახვალთ, თუ ეს დახვრეტა არ შემოიღესო. ავაკანიანის უტაქტობის შესახებ მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. დაბოლოს საბჭომ დაადგინა ახლავე შეადგინოს საგანგებო კომისია და ეს საქმე სათანადოდ გამოიძიოს.

# ეროვნულ-დემოკრატული პარტია

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის კრება დანიშნულია დღეს, კვირას, 21 მაისს, შუადღის 12 საათზე, თავმჯდომარის ბინაზე, ხოლო რაიონის წევრთა საერთო ყრილობა—ხვალ ორშაბათს, 22 მაისს ახალ კლუბის დარბაზში, შუადღის 12 საათზე. კრება აირჩევს პარტიის კონფერენციის წევრებს და მოისმენს მოხსენებებს პარტიის პროგრამის და ორგანიზაციის შესახებ.

# ბერძენთა კრება

ამიერ კავკასიის ბერძენთა კრება მოხდა. კრებას მრავალი დელეგატი დაესწრო სხვა და სხვა კუთხიდან. კრება შეეხო სკოლის ნაციონალიზაციის საქმეს. დეპუტატმა აკრიტასმა მოხსენება წაიკითხა ყარსის ოლქის ბერძენთა ენის შესახებ. დიდი კამათი გამოიწვია სააგრარო საკითხმა, რომელიც რთულია თბილისის გუბერნიაში და ყარსის ოლქში. სააგრარო რეზოლიუციის შედგენა დაევალა ამისთვის საგანგებოდ არჩეულ სააგრარო კომისიას. ამ კომისიამ მიიღო აკრიტასის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც ძლიერ ენათესავება „ტრუდოვიკების“ პროგრამას. მაგრამ სხდომაზე აკრიტასის გასვლის დროს რეზოლიუციიდან ამოჩხაპნულ იქნა სიტყვა: „აუნაზღაურებლად“. ადმინისტრატიულ და ეროვნულ საკითხში ბერძნები შემდეგ გზას ადგიან. ისინი იყრიან თავს ამიერ კავკასიაში სამი ცენტრის გარშემო: თბილისის, ყარსის და ბათომის; თითო ცენტრი იყოფა რამოდენიმე ოლქებად და რაიონებად ფართო თვითმართველობით. ამ ცენტრებს ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენელი დროებით მთავრობის ამიერ კავკასიის კომისარიატში.

აგრეთვე გადასწყდა გამოსცენ ბერძნული ორგანო რუსულ ენაზე, ამისთვის ეხლავე გადაიდო 5000 მანეთი. გადასწყდა აგრეთვე დააარსდეს ბერძენთა ეროვნული ბანკი.

# ისტორიული შენიშვნა.

პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის წერილის გამო, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს“ მე-105 №-ში საჭიროდ ვთვლი მკითხველ საზოგადოებას მივაწოდო შემდეგი ისტორიული ცნობა:

ცნობილი რუსის პროფესორი და მწერალი საერთაშორისო უფლებისა მარტენსი თავის ვრცელს წერილში ყირიმის ომის შესახებ, რომელიც წარსული სიუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში დასტამბა „Вѣстникъ Европы“-ში სხვათა შორის ამბობდა:

...„ინგლისი იმდენად გაკადნიერდა პარიჟის კონგრესზე, რომ რუსის ჯარის ყოფნა და მმართველობა საქართველოში იურიდიულ უსამართლობად გამოაცხადა და მოითხოვა თავი დაგვენებებია საქართველოსათვის და ჩვენი ჯარი გაგვეყვანა იქიდან, ხოლო ნაპოლეონ მესამემ, რომელსაც ომის შემდეგ უნდოდა რუსთა გულის მოგება, მხარი არ დაუჭირა ინგლისს, და ამ უკანასკნელისაგან აღძრული საკითხი უყურადღებოდ იქმნა დატოვებული კონგრესის მიერ“...

ეს შესანიშნავი წერილი მარტენისა უნდა ეძებოს კაცმა ხსენებულ ჟურნალის 1880—1896 წლების გამოცემაში.

**ილია ჭყონია.**

# ერთად აღვზარდოთ ქალ-ვაჟნი თუ არა?

ისეთნაირად ვარჩევთ ქალ-ვაჟთ ერთმანეთში, ისე სხვა და სხვა ნაირად ვზრდით მათ, ისეთ ნაირად ვანსხვავებთ მათ სქესობრივ მხრით, რომ დედის მუცელშივე რომ შესაძლებელი იყოს მათი გარჩევა, იქიდანვე სხვადასხვანაირად მოვექცეოდით. წამოიზრდება თუ არა ბიჭი, ერთი წლისა გახდება თუ არა, მაშინვე შალვარს ვაცმევთ, თუმცა ჯერ ფარტფარა კაბის მოარშიებაც არ შეუძლიან. ამით გვსურს ცხად ვყოთ მის სქესი. ქალებს კი თითქმის აკვანშივე ცხვირს ვუხვრეტთ, თუ რაიმე ბიჭური ჩაიდინეს! გოგომ რომ დანით ჯოხი გათალოს, სალამობა ითამაშოს, ვეუბნებით, განა ბიჭი ხარო! ბიჭმა თუ დედას ნემსი და ძაფი სთხოვა, დედა მაშინვე მიახახებს, გოგო ხომ არა ხარო? ხის კენწეროს რომ მოვახტებოდი ან მამიჩემის ცხენს ზურგზე მოვექცეოდი, ბებიჩემის კივილი ცასა სწვდებოდა, შე შერცხვენებულო, ბიჭი ხომ არა ხარო. რა იყო ამაში სასირცხვილო და საძრახისი, ვერ გამეგო და ბოლოს ერთ უცნაურ დასკვნას დავადექ: ბიჭი ჩემზედ რაღაც ცუდი არსება მეგონა, ამიტომ მას უნდა მოვრიდებოდი, გავქცეოდი. თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი, როდესაც უცნაური აზრი დამებადა: ვინმე ვაჟს რომ მოვეწონო, უსათუოდ შვილი გამიჩნდება-მეთქი. გაზვიადებულად ნუ გაიგებ, მკითხველო, ჩემს აღსარებას.

რა იყო მიზეზი ასეთი ჩემი უცნაურობისა? რასაკვირველია, განსაკუთრებული აღნიშვნა ქალ-ვაჟთა განსხვავებისა. რაღაცა იყო საიდუმლო (რა—ცხადად ვერ დამენახა) და ამ საიდუმლოს თავიდან ასაშორებლად ვაჟს უნდა მოვრიდებოდი.

ვიმეორებ, გულმოდგინებით რომ ვიყვნეთ, დედის მუცელშივე სხვადასხვანაირად მოვექცეოდით ქალ-ვაჟთ. განსაკუთრებული აღნიშვნა სქესობრივ განსხვავებისა ასეთი სისაძაგლის მეტს ვერას მოუტანს ბავშვს, მომავალ ახლმოზარდ შვილს—ქალი იქნება იგი თუ ვაჟი. ყოველივე ქალ-ვაჟთათვის ერთნაირი უნდა იყოს დაბადებიდანვე. განსხვავების განსაკუთრებული აღნიშვნა უსაფუძვლოა, ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს ვერც ქალს და ვერც ვაჟს.

რატომ არ უნდა იზრდებოდეს ქალი და ვაჟი ერთად? რატომ, თუ რიგიან მშობლების ხელით არიან ზრდილნი? რატომ არ უნდა ისწავლონ ქალ-ვაჟთ ერთად? აბა გამოსთქვან ამის საწინააღმდეგო რამ სოფლის მასწავლებლებმა. განა ქალი თავის ფსიხიკით, სინაზით, გულჩვილობით და მრავალი სხვა სათნოებით კეთილად არ მოქმედობს თავის ტოლ ვაჟზე? ბავშობიდანვე რომ ქალ-ვაჟთა შორის ის უმსგავსო ხაზი არ არსებობდეს, არც ისეთი პრანჭვა-გრეხა იქნებოდა გამეფებული ქალებში, არც ისე გადირეოდა ჩვენი ახალგაზრდობა ჰასაკის დროს. რაც დამალულია და აკრძალული, მით უფრო მიმზიდველია, და სწორედ ეს რაღაც საიდუმლოება, რაღაცა საზღვარი ქალ-ვაჟთა შორის ჰქმნის იმ საზიზღარ ატმოსფერას, რომელშიაც ჩვენი ქალ-ვაჟნი ჰასაკის დროს ტრიალებენ. ერთნაირად და ერთად უნდა აღიზარდნენ ქალ-ვაჟნი საშუალო და დაბალ სასწავლებლებში, ერთი და იგივე პროგრამით, და შემდეგშიაც, როდესაც სასწავლებელს აირჩევენ, იქაც ერთად უნდა იმეცადინონ.

მე არც გამამაკაცებულ დედაკაცის მოტრფიალე ვარ, არც იმგვარი ქალის მოტრფიალე, რომელიც „კანცელარიის“ და „პორტფელის“ გულისათვის შვილებს სტოვებს, თუ შემომტანი ვაჟკაცი—მამა თავის შვილებს გვერდით ჰყავს და შემოტანის და ოჯახის შენახვის უნარი აქვს, არც იმ ქალების მოტრფიალე, რომელნიც ქმრებს შვილებს მოუსხამენ და თვითონ, ვითომ საზოგადოებას ემსახურებიან. უწინარეს ყოვლისა ქალი დედაა, დედა—აღმზრდელი მომავალ მამულიშვილებისა, ადამიანებისა, მთელი კაცობრიობისა, და როგორ უნდა აღასრულოს ესოდენ პასუხსაგები მო-

ვალეობა ნახევრად და ცალმხრივ აღზრდილმა და განვითარებულმა ქალმა?

დიად ვალს სდებს ბუნება ქალს, დიდ მოთხოვნილებას უდგენს და უკიჟინებს მამაკაცი ქალს—დედას და ამასთან ერთად ჰსურს ცალკე ტაფაში მოაქციოს და რაღაც ქალური დაღი დაასვას მას.

აღვზარდოთ ქალ-ვაჟნი ერთად და მაშინ მოვსთხოვოთ ქალს ჭეშმარიტი მეგობრობა, მეუღლეობა, ჭირის და ლხინის გაზიარება მამაკაცთან ერთად. თორემ დღეს ჩვენი ქალები ან კრუხები არიან, რომელნიც მარტო სჩეკენ და ჰკვებენ შვილებს, ან თავიანთ ბუნებაზე ხელ-აღებული უსქესო არსებანი, ან მამაკაცთან ზნეობაში გათანასწორებული თავისუფალი სქესნი.

რამდენი უბედური ოჯახია, მკითხველო, ჩვენში? აბა თვალი მიმოავლე შენ ნაცნობ ოჯახებს: ჰპოვებ ერთ ღირსეულ მეუღლეთ მაინც? მეგობარ ამხანაგთ და არა მარტო ცოლ-ქმართ, ცოლი, რომელიც მარტო აჩენს და ქმარი, რომელიც მარტო ასაზრდოებს ოჯახს, მისთვის ნახევრად უცხოს! ეს ხომ რაღაც უცნაური, ძალდატანებული მეუღლეობაა. ერთად კი რომ იზრდებოდნენ ქალ-ვაჟნი ბავშვობიდანვე, უკეთ გაეცნობიან ერთმანეთს და უკეთ და უშეცდომოდ აირჩევენ მომავალ მეგობარ-მეუღლეს, მამას და დედას თვისი მოშავალი შვილებისას.

**ნინო შიუკაშვილი.**

## თავისუფლების პრინციპი საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიაში

მეორე და მესამე წერილში ჩვენ აღვნიშნეთ თავისუფლების და დამოუკიდებლობის პრინციპის ბატონობა ქრისტეს პირველყოფილ ეკლესიაში.

ვინც ჩვენი მშობლიური ქართული ეკლესიის პირვანდელი ცხოვრება კარგად იცის (მთავარ-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა ხანაში), ის დაგვეთანხმება, რომ ჩვენი ძველი ეკლესია თითქოს ტყუპია მოციქულთა მსოფლიო ეკლესიისა, მისი განშორებაა.

ჩვენს ეკლესიაშიც მძლავრად ჰმოქმედობდა ხელშეუხებლობის იდეა, მაშინაც კი, როცა ასე თუ ისე იგი ანტიოქიის მფარველობის ქვეშ იყო. ცხადად ეტყობა, რომ ეს დამოკიდებულება ანტიოქიისგან უმნიშვნელო, უსიცოცხლო დ უფერული იყო, რომ იგი სრულიად ვერ უშლიდა, თუ არ უშლიდა ხელს შინაგანი თავისუფალი ცხოვრების გაფურჩქვნას. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ეკლესია ხშირად თვით ანტიოქიისაზე მაღლა მდგარა და თვითვე ხაზი გაუსვია ხოლმე ამ მოვლენისათვის.

ნათქვამი იმას არ ნიშნავს, თითქოს პრინციპის სადალატო ეკლესიის ცხოვრებაში არამომხდარიყოს-რა. ბევრჯერ საერო მთავრობას და, შეიძლება, სასულიერო პირთაც ტლანქი ხელი შეუხიათ ეკლესიის ხელისთავისუფლებისათვის, მაგრამ საქმე ამაში როდია, აქ უმთავრესი ისაა, რომ ეკლესია თავდადებით ებრძვის ტლანქ ძალას და იცავს თავისუფლების იდეას.

როდესაც პირველ-ქრისტიანე მეფე მირიანმა უთხრა წმ. ნინოს: „მნებავს ესრედ, რათა იძულებით, მახვილითა მოვაქციენით მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ და დავამონე ძესა ღვთისა და ვათაყვანე პატიოსანსა ჯვარსა“ (ქ. ცხოვრებ. ზ. ჭ. გამოცემა 1897 წ. გვერდი 134),—მოციქულთა სწორმა ქალწულმა ის გააჩერა და უთხრა: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებაო“.

როცა მთავარ-ეპისკოპოსმა მიქელმა, ტომით ბერძენმა, ბუნებრივი გულფიცხელობისა გამო და უსაბუთოდ, ვერაგულად შელახა თავისუფლობა და ფეხი „მიამთხვია პირსა“ ვახტანგ გორგასლანისას (ქ. ცხ. 203 204,—საყ.) ამით ეკლესიის თავისუფალი სული როდი ჩაკლულა, არამედ თვით ბოროტობა მიქელისა დაისაჯა სასტიკად. მღვდელმთავრის მაგიერ თვით მეფის უმაგალითო სიმშვიდეში და დიდსულოვნებაში გაიმარჯვა ეკლესიის ხელშეუხებლობამ, როცა მეფემ მიუგო გონება-დაბრმავებულ ბერს: ეგ „სილაღე ამპარტავანებისა“ ეშმაკის საცთურიაო. „უკეთუ სიმოავლე შან ცოდვათა ჩემთამან აღძრა, არა გაქვს ხელმწიფებაი ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყვის სახარებაი: „არა დაშრიტო პატრუქი გაბნდვინვარე, არცა გასტეხო ლელწამი დაჩეჩქული“-ო. ძნელად, თუ უფრო მძლავრად გამოიხატოს ძალა სულისა და ჭეშმარიტებისა! მიქელი გადააყენა საეკლესიო მთავრობამვე და მღვიძარეთა მონასტერში ჩააგდო.

კიდევ უფრო ცხადჰყოფს საქართველოს ეკლესიის სულიერ ძალას და ხელშეუხებლობას საბან იშხნელის და გრიგოლ ხანძთელის მაგალითები მე-IX-ე საუკუნეში.

ერთხელ ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატ კუროპალატს უქო იშხნის ეპისკოპოსი საბა, როგორც ფრიად წმ. კაცი. მეფეც მორწმუნე კაცი იყო, აღეძრა სურვილი წმ. ბერის ნახვისა და საკუთარი ხელით დაწერილი ბარათით სთხოვა მოსვლა, რისთვისაც „წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას“ (ცხოვრება გრ. ხანძ. გამოც. ნ. მარრისა გვ. 29). მაგრამ რა მდგომარეობაში ჩავარდა მეფე, როცა მობრუნებულმა კაცებმა მოახსენეს მას, რომ „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსვლად იქა“. კუროპალატი შეწუხდა, მაგრამ არა ვილაც ბერის ურჩობისა გამო, არამედ თავის შეცთომის გამო და მოწყენილად უთხრა წმ. გრიგოლს: „განუგებელად ვქმენ“, შენი წერილი უნდა მისვლოდა და არა ჩემიო და „აწ, ვითარ წეს არს, მიუწერე“-შენ.

მოუვიდა თუ არა საბას გრიგოლის ბარათი, დაემორჩილა „წიგნსა მამისასა (გვ. 30) და მოვიდა. კუროპალატმა რომ უსაყვედურა, რატომ მეფეს არ ეცი პატივიო, საბამ მიუგო: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებაო“, არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძღვრისა ჩვენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“—ო. მეფემაც წყენის მაგიერ, მიუგო: „სამართალ არს სიტყვაი შენი, წმიდაო“.

მეორე ფაქტი უაღრესი ღირსებისაა ჩვენი მიზნისათვის. ჯავახეთის კრებაზე (IX ს.) არსენ კათალიკოსი უნდა გაესამართლებინათ მცხეთის საყდარზე უკანონოდ დაჯდომისათვის, რაც მამა მისის დიდი ფეოდალის თავადის მირიანის ბრალი იყო. კრება გახსნა გვარამ კუროპალატმა და თანაც სიტყვა დაიწყო, რომელშიც კრებას უსაყვედურა მომხდარი უწესოება. კრებაზე იყო გრიგოლ ხანძთელიც. ადგა ის და კრების სახელით უპასუხა მეფეს: მსოფლიო კრებებზეც დასწრებიან მეფენი, მაგრამ შენსავით სჯულის მოძღვრებას არ „იკადრებდესო“, არამედ თვითონ სასულიერო პირთაგან, ისწავებოდეს“ და მხოლოდ „თქმულთა მოწამე იყვნეს“-ო. მეფემ ბოდიში მოიხადა და კრებას უთხრა შევცდი, რომ ხმა ამოვიღე, აწ თქვენ“-ო, ე. ი. თქვენ ილაპარაკეთ და განაგეთ“-ო (იხ. 47). იმავე ბერმა აშოტ კუროპალატს ხასა წაართვა, დედათა მონასტერში მონოზნად აღკვეცა და მეფემ კრინტიც ვერ დასძრა წმ. ბერის წინააღმდეგ. მხოლოდ აღიარა და სთქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ აღიარა ცოცხალ არს“-ო. ბიოგრაფი გრიგოლისა დასძენს: „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა ძლიეს“-ო.

ეს ისეთი იშვიათი ფაქტია, რომ პაპის გრიგოლ მეშვიდის (1073—1083 წ.) კოროლ გენრიხ IV-ის ისტორიას მოგვაგონებს იმ განუზომელი განსხვავებით-კი, რომ პაპს ამოძრავებდა ქვეყნიური ძლიერების და პირადი თავმოყვარეობის სურვილი, აქ კი უბრალო ბერის სახელით თვით ეკლესია იბრძვის ზნეობრივი პრინციპისათვის. ამ ძლიერი სულით იყო გაჟღენთილი საქართველოს ეკლესია მე-VIII—IX საუკუნეში! ამ სიმაღლემდე იშვიათად მიუღწევია სხვა ერისა ეკლესიას ისტორიაში! ის კია, რომ იქ წვრილმახებიც კარგად იციან თავის ეკლესიის ცხოვრებაში, ჩვენ კი ასეთი იშვიათი შემთხვევებიც ნაკლებად ვიციო!...

იმავე გრიგოლის დროს მოხდა ანჩაში საეკლესიო კრება. ანჩის ეპისკოპოსი მიცვლილიყო და მის ალაგზე ძალით ასულიყო ყოვლად უღირსი დიაკონი ცქირი თბილისის ამირას საჰკის დახმარებით. აშოტ კუროპალატიც ერია საქმეში ამირას შიშით. მერე როგორ მოიქცა კრება? შეუშინდა ამ ქვეყნის „ძლიერთა“ და გაათელვინა ეკლესიის თავისუფლება? არა. კრებაზე ცქირი, რომელსაც გრიგოლისათვის მკვლელებიც კი მიეგზავნა, „განკვეთეს პატივისაგან მისისა“. წმ. გრიგოლმა და დედა ფებრონიამ (მერის დედათა მონასტრის დეკანოზმა) „შემოსილი (ცქირი) საკურთხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცვეს და ყოველთა ერთობით განხადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცა ლა ასოთ-დამპალი“. (გვ. 67—68).

როგორც ხედავთ, ეკლესიის თავისუფლება მარტო თავის დაცვაში არ გამოიხატება: იგი ზნეობასაც დარაჯად უდგია, სიმართლისა და კანონიერების მოსარჩლეა, და ასეც უნდა იყოს, ეკლესიის ავტონომიაც ამისათვისაა და გავლენა-ძალაც! საბოლოო მიზანი ზნეობა და სასუფეველია მისთვის!

ამიტომაცაა იგი ასე თავგამოდებული! ნიკოლოზ კათალიკოსი იმ ზომამდე ებრძვის უზნეო და სამცოლოსან დიმიტრი თავდადებულს, რომ კათალიკოსობას სტოვებს და უბრალო ტანისამოსით იერუსალიმში მიდის, როცა მეფეს ვერა შეასმინა-რა (ქცს. 605,607, 610). მეფის უზნეობამ ათონის ბერებიც ააშფოთა და წმ. ექვთიმეს ძმა, წმ. ბასილ-ბერი გამოუგზავნეს მეფეს გასასწორებლათ. მაქსიმე კათალიკოსმა თავადი კაცია ჩიჩუა შეაჩვენა და განკვეთა ეკლესიიდგან უწესოებისათვის (Д. Пурцел. пер. гуджары. გვ. 151). მანვე დატუქსა გიორგი გურიელი (ів. 152), გრიგოლ კათალიკოსმა ბექან დადიანი დასწყევლა, დავით კათალიკოსმა—ფირანა მხეიძე, ელისე თბილელმა (სალინაშვილმა) სიონის მამულები, თეიმურაზის მიერ უკანონოდ გაცემული, უკანვე დააბრუნებინა (ів. 56).

ნუ თუ ოდესღაც, მრავალ საუკუნოების განმავლობაში, ასეთი სულით ძლიერი ეკლესია უნდა გაჰქრეს!.. რას გვეტყვის ამისათვის მომავალი...

**დეკ. მ. კელენჯერიძე.**

## კორესპონდენცია

### წარმოდგენა პროვინციაში

**ახალ-ხენაკი.** მაისის 13, შაბათს, ძმ. სანიკიძეების თეატრში ფოთის დრამატიული სექციის მიერ წარმოდგენილი იქმნა „დღევანდელი გმირები“ დრამა 4 მოქმ. („ამ დროის გმირები“ ბაქრაძისა). როგორც დრამატიული ნაწარმოები პიესა სუსტია, მაგრამ პიესაში არის ადგილები, რომლებიც ძლიერ შთაბეჭდილებას ჰქმნიან. სიუჟეტი მოძრაობის დროისაა და ამიტომ ეს პიესა დღესაც შესაფერი გამოდგა. საერთოდ პიესა სუსტად იყო შესრულებული და ტეხნიკურადაც ცუდათ მოწყობილი. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალმა ქ-ნ ნორაკიძის ასულმა ნინოს როლში, თუმცა მესამე მოქმედებაში სუსტობდა. პიესას რეჟისორობდა მსახიობი ხარაზიშვილი. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

კვირას, მაისის 14, გაიმართა კონცერტი რონიშვილის მეთაურობით. არ ვიცი, თუ კიდევ ამაზე უფრო მეტად შეიძლება საზოგადოების აბუჩად აგდება, როგორც ამას ბ-ნი რონიშვილი სჩადის. შეიძლება ბ-ნი რონიშვილი ევროპიულ ცეკვის კარგი მასწავლებელი იყოს, მაგრამ, როგორც მომღერალი ის ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულია. მას საკონცერტო ხმა სრულებით არ აქვს და დიდი გამბედაობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთი ხმით ცნობილი ოპერებიდან საუკეთესო არიების აღმასრულებლად მოევლინოს საზოგადოებას. კონცერტს საზოგადოება ცოტა დაესწრო.

ასეთი მოვლენები ხშირია დ. ახალსენაკში და იმედია სენაკელები ამას ყურადღებას მიაქცევენ.

**ფ. მ.**

### სოფლის ვითარება

**სოფ. პატარძეული** (გარე-კახეთი). თუმცა სეტყვამ ორჯერ ჩარეგვა აქაური ხეხილ-ნათესობა, მაგრამ მოსავალს ღვთით კარგი პირი უჩანს. ეხლა აქეთ დიდი უამინდობაა. წვიმებს ბოლო ვერ მოეღო. დედამიწა გაჟღენთილია. ვენახებსაც კარგი პირი უჩანს და კარგი მოსავლიანობის იმედია.

ამას წინედ, აქეთ ყოფილან სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტები. ადგილობრივი გლეხობა ძალიან შეშინებულები არიან ფედერალისტებისაგან („ფედრო“-ს ეძახიან). ზოგიერთი მოითხოვს მათს განდევნას და სოფელში ნუ შემოუშვებთო. ეს რასაკვირველია, გაუგებრობის ბრალია. ფრიად საჭიროა სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც მოვიდნენ აქ საქადაგებლად. ამ ერთი კვირის წინედ ხალხს დაუდგენია ძველი მთავრობის მიერ ათი წლის დაკეტილი სამკითხველო ისევ გაეღონ. კარგი იქნება თუ ამ საქმეს მალე დააბოლოვებენ. სამკითხველოს გაღება პირისპირ ადგილობრივ მღვდელ-მასწავლებლებს ევალებათ და სათაკილოა მართლაც, რომ იგი ამდენი ხნით დაკეტილია.

ქურდებს თანდათანობით ბოლო მოეღო, რაც სოფლის ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს.

ერთი კვარაა რაც აქ კოოპერატიული დუქანი გაიმართა.

**გ. ბივრიტიანი.**

## წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოგვეთავსოთ ქვემო-მოყვანილი განცხადება განმანაწილებელ პუნქტის ექიმებისა:

ჩვენ განმანაწილებელ სადგომის ექიმები, როდესაც გავიგეთ უფროს ექიმის ღამბაშიძის წასვლა, გავეცანით იმ ბრალდებათ, რომლებიც მას წარუდგინეს, ვცანით სრული უსაფუძვლობა ამ ბრალდებათა და ჩვენს მოვალეობათ მივიჩნიეთ საზოგადოებას ვაცნობოთ შემდეგი:

ბრალდებაში აღიარებული ბოროტება დასახელებულ პუნქტში ფაქტიურად არსებობდა და ეხლაც არსებობს, ეს სრული სიმართლეა, მაგრამ აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ ბოროტების მოსპობა ერთ კაცზედ დამოკიდებული არ არის, რადგანაც ამ ბოროტების ფესვები მჭიდროდ არის გადახლართული პუნქტში არსებულ აწ უკვე დანგრეულ წეს-წყობილებაზე, რომელიც ძველი რეჟიმის წყალობით იყო დამყარებული. ერთი კაცის დათხოვნით, ე. ი. რომელიმე პიროვნების განდევნით სადგომში ბოროტება არ მოისპობა. ეტყობა თვით დიდმა და მძლავრმა ცვლილებამაც ვერ შესძლო, ესეთ ცოტა დროში, თვალსაჩინო და სასარგებლო შედეგების მოტანა, რადგან ის შეგუბებული ჰაერი, რომელიც გარს ახვევია განმანაწილებელ პუნქტს, შეიძლება მხოლოდ თანდათანობით განიფანტოს. ექიმთა კოლეგია განმანაწილებელ სადგომისა თავის დროზე ეცდება პრესას და საზოგადოებას გაუზიაროს თუ როგორი უსაფუძვლო და ყოველ გონიერებას მოკლებულია ის ხმები, რომელიც პერიოდულათ თავსდება ადგილობრივ პრესაში და „პუნქტების ექიმებს“ მთლიანათ თავზე ახვევს განმანაწილებელ საავადმყოფოს ყოველივე დეფექტებს.

ჩვენს წასულს ძვირფას ამხანაგს და მეგობარს, ექიმ ღამბაშიძეს, რომელიც სრულის თავ-განწირვით ეწეოდა დიდათ პასუხ-საგებ საქმეს, ვუცხადებთ ჩვენს გულ-წრფელ მადლობას. იგი მუდამ დიდის ფაქტით და ყურადღებით ეპყრობოდა თავის თანამშრომლებს და ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროსაც, როცა ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლეაოდა, უშიშრად და თავისუფლად ატარებდა ცხოვრებაში მოქალაქობრივ, ჰუმანიურ იდეებსა.

აგრეთვე ჩვენს მოვალეობადა ვრაცხთ გამოუცხადოთ მას ჩვენი ღრმა თანაგრძნობა იმ უდიდეს ზნეობრივ სასჯელის გამო, რომელიც მას უკანასკნელად მიუსაჯეს: მისი სახელი მოაქციეს ბ. პოტაპოვის სახელთან ერთად, რომელიც ჩვენ ამხანაგთა წრიდან ჯერ კიდევ მის ოფიციალურ განდევნამდის გამორიცხული იყო.

განმანაწილებელ პუნქტის
კოლეგია.

1917 წ. მაისის 1.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.88 | საღ. |
| ბა შ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ, |

## კახეთის რკინის გზა

**საფოსტო მატარებლების მიმოსვლა**

I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

**თბილისიდან** ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

**გურჯაანის** სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

**გურჯაანიდან** მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

**წნორის-წყლის** სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

**თელავის** სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

**წნორის-წყლის** სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

**გურჯაანის** სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

**გურჯაანის** სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

**თბილისის** სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი

**მ. მ. მუხაძე**

იღებს ხიდოხტაქრო ავადმყოფებს

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა.

**მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. ბ. ვეშხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რანიეზის ქუჩა, № 19.

მოსე ანთიმოზის ძე

**გაგანდარიშვილი**

... ბაღშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ... ქ. № 3.

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

**ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირონის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი

**მ. ი. მაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადინსკის ქ. № 4. (ტ.—202—)

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

## საავადმყოფო

**სახელდრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.**

**ბელანჟე**—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეინაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ახპიხოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირადოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
**იოხელიანი**—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტრონცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხმარონ ყოველთვის**

**მხოლოდ მიტროფანე** ლ ა ღ ი ძ ი ს და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მი-ერ** პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**ხ ო ლ ო დ და ს ა რ ც ო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

## თეფზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 5, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ძ. ძეგველოვ-ზედი, საშრეწველოებიდან ახალი ქვეყნის ...“ ...